პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 140 (13225) | ოთხშაბათი, 16 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაიხსნება 1965 წლის 18 ივნისს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახი 24, ტელეფონი: 9-08-54 და 9-58-19.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა შედგება 18 ივნისს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

სპორტული ზაფხული

ძალაში შევიდა ზაფხული. ზეიმობს, ხარობს ბუნება, ხარობს ადამიანი. თავისუფალ გვიხმობენ და გვეძახიან მზითა და სიმწვანით სავსე მთები და ველები, ყანები და სათიბები, ზღვები და მდინარეები. ზაფხული განსაკუთრებით სპორტსმენებს ახარებს. ზაფხულში მათ არ სჭირდებათ სპეციალური სასპორტო დარბაზებისა თუ აუზების ძებნა. ახლა ყველგან შეიძლება გამოინახოს და მოეწყოს შესაფერი ადგილი არა მარტო საწვრთნელი ვარჯიშებისათვის, არამედ თვით სპორტული შეჯიბრებებისათვის.

უკვე კარგახანია გავიდნენ სპორტსმენები ლია ცის ქვეშ, მწვანე მინდვრებზე, დაიწყო დიდი ასპარეზობა სპორტის სხვადასხვა სახეში. ბურთი და მოედანი მოსიწყეს ფეხბურთელებმა, შეჯიბრებები გაჩაღდა საცურავ აუზებში, სარბენ ბილიკებზე. ამ და სხვა შეჯიბრებებს ინტერესით ადევნებენ თვალს სპორტის მოყვარულნი ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას. ჩვენი დიდი ქვეყნის ახალგაზრდობის სპორტული ოსტატობის ამაღლებას. საბჭოთა სპორტის ძალა მასობრიობაშია, ამიტომაც არის, რომ სპორტსმენთა რიგებში განუწყვეტლივ იზრდება. ახლა სსრ კავშირის ფიზკულტურელთა არმია 43 მილიონს აღემატება. სასიხარულოა, რომ ამ დიდ არმიაში 800 ათასი კაცი საქართველოს წარმომადგენელია. ეს ციფრი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ფიზქმის ყოველ მეხუთე მოქალაქეს საყვარელ ადგილად მიაჩნია სტადიონი, აუზი, ეწევა სასპორტო ტანვარჯიშს ჯანმრთელობის ჯგუფებში, მთელ თავისუფალ დროს ტურისტულ ლაშქრობებს ანდომებს. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა გააკეთონ, რომ მიაღწიონ მასობრივ ოსტატობას სპორტში.

სპორტი ისე არ განვითარდება, ინტენსიურად, მასობრივი სპორტის განვითარებაში უკეთესი მაჩვენებლები გვქონდა, თუ საწარმოთა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო მზრუნველობას არ მოაკლებენ მასობრივი სპორტის განვითარების საქმეს.

მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ ყველგან დამაკმაყოფილებლად რიდი გვაქვს საქმე. რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის (ბოლნისი, დმანისი, ახალქალაქი, თიანეთი, ამბროლაური, თელავი) ფიზკულტურის კოლტეგიებში სასწავლო-საწვრთნელი მუშაობა არ მიმდინარეობს. ნაკლებად ეწყობა შეჯიბრებები, ნაკლებად ვლინდება საწარმოებისა და სოფლის ახალგაზრდობის საუკეთესო სპორტსმენთა ძალები. სპორტული მუშაობა ჩაშლილია ხგრეთვე თბილისის ფოლად-თუნუქსამსხმელო, პურის № 6 ქარხნებში და სხვ.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მუშაობა სპორტის ეროვნული სახეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, როგორიც არის: ლელო, ქართული ჭიდაობა. მშვილდსროსნობა და ცხენოსნობა ცხაკაიას, ოჩამჩირის, სიღნაღის, წალენჯიხის რაიონებში, სადაც ცხენოსნობაში საუკეთესო ტრადიციები ჰქონდათ, საცხენოსნო სკოლები დაშალეს.

როცა ვლაპარაკობთ მასობრივი სპორტის განვითარებაზე, არ შეიძლება დავიწყოთ საზოგადოებრივ ინსპექტორთა დიდმნიშვნელოვანი როლი. თითქმის ყოველ საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში, მრავალად არიან სპორტის ოსტატები, თანრიგოსანი სპორტსმენები, მასწავლებლები. რომლებიც ხალისით კისრულობენ საზოგადოებრივ ინსპექტორთა როლს. ბევრი მათგანი მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. ამის მაგალითი ბევრია.

მოსახლეობაში მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის უკეთ დაყენების საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა კავშირში პირველი სახალხო კლუბის შექმნა თბილისის პირველი მაისის რაიონის დიღმის მასივში და 26 კომისრის რაიონში მესამე მასივში.

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე დიღმის კლუბმა „დილამ", რომელსაც ხელმძღვანელობს სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, პენსიონერი ი. კიზირია, ბევრი რამ გააკეთა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაშლის საქმეში. მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მოაწყო ორენბურგის 12. კალათბურთის — 3. ჩოგბურთის — 1 და ფეხბურთის — 4 მოედანი. კლუბმა მოაწყო სპარტაკიადა სპორტის 9 სახეობაში. მასივის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს სარაიონო და საქალაქო სპარტაკიადაში. 26 კომისრის რაიონის კლუბმა „გაზაფხულმა", რომლის ორგანიზატორი და ბამგეობის თავმჯდომარეა ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი შ. კაკაურიძე, სულ მოკლე პერიოდში მოაწყო ხალხის შრომითი მონაწილეობით ორენბურგის და ალათბურთის 5. ხელბურთის — 2. ფიხბურთის — 4 მოედანი და უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის — 15 მოედანი.

მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ჩაბმა ფიზკულტურულ მოძრაობაში პარტიის პროგრამის მოთხოვნაა. თუ არ გვეყოლება სპორტის რეზერვები, შეუძლებელია წინსვლა.

რესპუბლიკაში მასობრივი სპორტის განვითარებისათვის გვაქვს სათანადო ბაზები. შენდება კიდევ ბევრი სასპორტო ობიექტი. მაგრამ სპორტის მოყვარული იმდენად ბევრია, რომ ეს სასპორტო ნაგებობანი ვერ განაგრძებენ ყველა მსურველს. ამიტომ მეტად საჭიროა არსებული ბაზები უფრო რაციონალურად და სრულ დატვირთვით გამოიყენონ.

არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მასობრივი სპორტის განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობას. შრომის ნაყოფიერების ზრდას. სხვანაირად არ შეიძლება.

ჩვენ გვაქვს ამის საუკეთესო მაგალითები. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში. სართავ-სტრეკოტაჟო კომბინატში მუშა-მოსამსახურეთა თითქმის ორმოცდაათი პროცენტი მეცადინეობს სპორტული სექციებში. ამავე დროს ისინი წარმატებით მუშაობენ და გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ძირეულმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ხერხიოსული ყურადღება უნდა მიაქციონ მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაშლას. მასში ჩაებან ყველა ახალგაზრდა და ისე მოაწყონ საქმე, რომ სპორტსმენებს ყარგი შრომითი მაჩვენებლებიც ჰქონდეთ.

სპორტულმა ზოგხელმა ბევრი საზრუნავი გაუჩინა: ჩვენს ახალგაზრდობას. მაგრამ ამჟერად ყველაზე საყურადღებოა მზადება VIII საკავშირო პროფკავშირული სპარტაკიადისათვის, რომლის სხპარტაში უსაზღვროა, რადგან იგი მისაწვდომია მილიონობით ადამიანისათვის. ჩვენს რესპუბლიკაში ამ სპარტაკიადისათვის მზადებას თებერვალ-მარტში შეუდგნენ. მალე დაიწყება რესპუბლიკური სპარტაკიადა. ეს მასობრივი ღონისძიება ნაყოფიერად უნდა გამოიყენონ ჩვენმა სპორტულმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა ფიზკულტურასა და სპორტში ახალ-ახალი წარმატების მოპოვებისათვის.

ჩვენი ახალგაზრდობის ამოცანაა მონდომებით იბრძოლოს სპორტის ყველა სახეობაში საპატიო ადგილის მოპოვებისათვის.

საქართველო—სომხეთი

შაუმიანელები ჯაფარიძელებთან

მეგობრები ერთმანეთისაგან სწავლობენ

წითელწყაროო. (საეც. კორ.). გასული წლის ზაფხულში სომეთთის, საქართველოს და აზერბაიჯანის გაზეთების „სოვეტაკან პაიასტანის", „კომუნისტისა" და „კომუნისტის" რედაქციებმა სოფლის მეურნეობის შესწავლისა და კამოცდილების ურთიერთ გაზიარების მიზნით სამ მოძმე რესპუბლიკაში მოაწყეს ერთობლივი რეიდი. რეიდის მასალებში, რაც ერთდროულად სამ გაზეთში იბეჭდებოდა, დიდი ადგილი ჭეოდა დათმობილი წითელწყაროს რაიონის ჯაფარიძის კოლმეურნეობის მიღწევებს. სომხეთის სსრ შაუმიანის რაიონის სოფელ შაუმიანის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა სწორედ რეიდის მასალებიდან შეიტყვეს ჯაფარიძელთა წარმატებანი და გადაწყვეტეს მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულიყვნენ.

...და აი შაუმიანელები ჯაფარიძელებს ესტუმრნენ. აქ ჩამოვიდნენ შაუმიანის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს მთავარი ზოოტექნიკოსი ჯ. ბუნიათიანი, შაუმიანის XXII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ა. მეელუმიანი, კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი, აგრონომი ა. იაღუბიანი, ვეტერინარი ა. აგარონიანი, მეკვლინბეობის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. სარქისიანი, კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, მშენებლობის ბრიგადის ხელმძღვანელი მ. არუთიუნიანი, ბრიგადირი ხ. ისაკანიანი, მწველავი გ. მკრტჩიანი, კოლმეურნეები ჯ. აფარიანი და ა. თოვმასიანი, ტრაქტორისტი ა. სარქისიანი და სხვები.

პირველ დღეს სტუმრები გულდასმით ვეიცნენ ჯაფარიძის კოლმეურნეობის ეკონომიკას, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის საკითხებს. შემდეგ სტუმრებმა დათვალიერეს ვენახები, მეცხოველეობის ფერმები, პურის ყანები, სიმინდისა და მზესუმზირის ნათესები.

ჯაფარიძელებს 1946 წლიდან აქვთ კოლმეურნეობის საწარმოო პასპორტი, რომელშიც ნათლად არის ნაჩვენები ყოველწლიური შემოსავალ-გასავალი, მთელი ეკონომიკა, საწარმოო ბრიგადებისა და ფერმების საქმიანობა. ეს კოლმეურნეობის ისტორიაა. [illegible] ...ლეებზე — თვითონაც შეემნიან კოლმეურნეობის საწარმოო პასპორტს. შაუმიანელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საათხანი კულტურების კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებით დამუშავებამ. მზესუმზირა და სიმინდი აქ ხელის შრომის გამოუყენებლად მოჰყავთ.

— ჩვენ მეძროხეობის შესანიშნავი ფერმა გვაქვს, მაღალპროდუქტიული ძროხები გვყავს. თვითეულზე შარშან 3.800 კილოგრამი რძე მივიღეთ, — ამბობს შაუმიანელთა თავმჯდომარე ა. მეელუმიანი, — მაგრამ პროდუქცია თქვენთან შედარებით ძვირი გვიჯდება, ვინაიდან ტექნიკას სათანადოდ ვერ ვიყენებთ. თქვენთან კი, როგორც ვხედავთ, მეცხოველეობის მექანიზაცია მაღალ დონეზეა, კარგად იყენებთ საწველ აგრეგატებს, საკვების შესამზადებელ მანქანებს. ეს შესაძრნეველად აიაფებს ხორცისა და რძის წარმოებას. ამას აუცილებლად გადავიღებთ. მევენახეობაში შაუმიანელებმა საკმაო წარმატებებს მიაღწიეს. საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტ ყურძენს ვიღებთ. თქვენთან კი 70 ცენტნერს. შეგვიძლია საკუთარი ჯიშის ვაზის ნერგები მოგაცეთ, სცადეთ იქნებ უფრო იმატოს მოსავალმა.

— აუცილებლად. ეს სასარგებლო იქნება, ამასთან თქვენ მაღალპროდუქტიული ჯიშის ძროხები გყავთ და იმედი გვაქვს დაგეხმარებით პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში, — ეუბნება ჯაფარიძელთა წინამძღოლი ნ. ყოჩიაშვილი, — ჩვენ კი მეცხოველეობის მექანიზაციის დანერგვის საქმეში დაგეხმარებით.

მერე დღეს ჯაფარიძის კოლმეურნეობის გამგეობის გაფართოებულ სხდომაზე განხილეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების პროექტი. იგი ორივე მხარემ ერთხმად მოიწონა. ამ დღიდან ჯაფარიძელი და შაუმიანელი მეგობრები ერთმანეთს ეჯიბრებიან. სულ მალე ჯაფარიძის კოლმეურნეობის დელეგაცია ესტუმრება შაუმიანელ მშრომელებს. დათვალიერებენ ვენახებს, მეცხოველეობის ფერმებს, ერთმანეთს გაუზიარებენ შრომაში შეძენილ მდიდარ გამოცდილებას.

• • •

სურათზე: ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი (მარცხნიდან პირველი) შაუმიანის კოლმეურნეობის დელეგაციის ერთ ჯგუფს ესაუბრება მზესუმზირას მოსავლიანობის გადიდების გზებზე.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

შვიდწლედის ვარსკვლავი

1966 წლის ანგარიშში!

ბიათურა. (საკ. კორ.). ახალი, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა პერევისის მაღაროს კოლექტივმა (დირექტორი — საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ს. პეტრიაშვილი, პარტბიუროს მდივანი პ. ფალავანდიშვილი). მან 10 ივნისისათვის შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების შვიდწლიანი გეგმა და 1966 წლის ანგარიშში სამშობლოს უკვე ათასობით ტონა მადანი მისცა.

ეს წარმატება თავისთავად როდი მოსულა. იგი გამოჭედეს იმ უბნების კოლექტივებმა, რომლებსაც საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრები ირ. ჩაჩანიძე და გრ. გაფრინდაშვილი, აგრეთვე ახალგაზრდა ინჟინერი ლ. ლებანიძე უძღვებიან. ამ გამარჯვებას ჭედდნენ კომუნისტური შრომის დამკვრელები ი. კომლაძე, ა. ხარაიშვილი, ა. ხოჯანაშვილი, შ. ციცეიძე, ა. ბიწაძე, აკ. ლომთათაძე, ი. დანგაძე, ლ. გოგოლაძე, შ. მიშველიძე, ა. ცუცქირიძე და სხვები.

ამ წარმატებაში სერიოზული წვლილი შეიტანა მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა ინჟინერ გ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით.

მოდის მარგანეცი 1966 წლის ანგარიშში!

სიახლე წარმოებაში

ტყიბული. (საკ. კორ.). კორსების გრანიტს ფართოდ იყენებენ რესპუბლიკის ახალშენებლობებზე. ამ ძვირფასი ქვით აშენებენ თბილისის მეტროს, წულუკიძის რაიონის სარწყავ სისტემას და სხვა მრავალ მოუმენტურ ნაგებობას.

გრანიტის ქვის წარმოების გადიდებას ძალიან აფერხებდა დამუშავების პრიმიტიული წესი. ქვის ლოდებს აქ ხელით, ოკინის სოლებს საშუალებით ამობდნენ. ახლა ეს ნაკლი გამოსწორდა. ნოვატორებმა წარმატებით აითვისეს და ჩვენი ქვეყნის გრანიტის წარმოებაში პირველად დანერგეს ქვის თერმული დამუშავების წესი.



ᲐᲠᲢᲔᲥᲘ—40 ᲬᲚᲘᲡᲐ

სიხარულის კერა

ᲐᲠᲢᲔᲥᲘ... შავიზღვისპირის მშვენება, პიონერთა ჯანმრთელობის კერა, სახელგანთქმული ბანაკი 40 წლისაა. ოთხი ათეული წლის წინათ იალტის მახლობლად მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით დაარსდა ეს შესანიშნავი პიონერული ბანაკი. იგი ყირიმის ყველაზე უფრო თვალწარმტაც ადგილას მდებარეობს, მაღალი მთების ძირას.

ლაფვარდოვან სანაპიროზე გაშლილა მრავალი ნათელი შენობა — საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ბავშვთა ტექნიკური სადგურები, სასპორტო მოედნები, სტადიონები, საცურავი აუზები. ბანაკში ერთდროულად იხვენებს 4.000-ზე მეტი ბავშვი. არსებობის ორმოცი წლის მანძილზე „არტეკი" მოემსახურა საბჭოთა კავშირის 200.000 პიონერსა და უცხოელ მშრომელთა ბავშვს. ამ სურათებზე თქვენ ხედავთ „არტეკის" ხალისიანი ცხოვრების ამსახველ მხოლოდ ორ მომენტს. მხიარულება, სიმღერები ახლავს თან ბავშვთა ყოველ საზღვაო გასეირნებას (მარცხნივ); მარჯვენა სურათზე კი აღბეჭდილია არტეკის ბანაკ „პრიბრეჟნის" საერთო ხედი.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

კრ.მგაინერთა მეჯვირეგა

მოსავალი—12 სამუშაო დღეში!

თაოსნობის კასუხად

ᲠᲝᲪᲐ გაზეთ „კომუნისტის" 12 ივნისის ნომერში გავიცანი სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კომბაინერის ს. ბეჟანიშვილის პატრიოტულ ინიციატივას პურეულის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების საქმეში, გადავწყვიტე ჩავება სოციალისტურ შეჯიბრებაში და 12 სამუშაო დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი ავიღო 240 ჰექტარზე ნაცვლად 220 ჰექტარისა.

ამასთან ერთად მკვლ დროს არ დავუშვებ თავთავისა და მარცვლეულის დანაკარგს. შარშანდელთან შედარებით 10 პროცენტით შევამცირებ ცენტნერი მარცვლეულის გალეწვის თვითღირებულებას.

Ა. ᲓᲣᲠᲒᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲑᲐᲖᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ.

ასეთია ჩემი გადაწყვეტილება

მალე კომბაინები ყანებში გავლენ. წელს გეგმით პურეული უნდა ავიღოთ 200 ჰექტარზე. როცა გავეცანი სიღნაღელი მექანიზატორის ს. ბეჟანიშვილის ვალდებულებას, ავწონ-დავწონე ჩემი შესაძლებლობანი და გადავწყვიტე 12 სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი ავიღო 250 ჰექტარზე, თვითეულ ჰექტარზე 18-20 ცენტნერი მარცვალი გავლეწო.

Დ. ᲗᲝᲓᲝᲔᲕᲘ,

ᲖᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲐᲕᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲐᲘᲜᲔᲠᲘ.

მეგობრული საუბარი

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო უნგრეთის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. პალ ლოშონცის მეთაურობით.

გულთბილ, მეგობრულ საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ვ. ვ. მატანცევიმ.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ამხ. ჟ. სამბუ

15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ჟ. სამბუ, რომელიც დასასვენებლად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევსა და ჟ. სამბუს შორის გაიმართა გულთბადი, მეგობრული საუბარი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲝᲑᲐᲨᲘ

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ

☐ მეტალურგთა შვიდწლედი ☐ ნავთობის „მდინარე" ☐ გაზის რკალი ☐ მეალმასეთა დღესასწაული ☐ ტრაქტორის გამოცდა

ᲢᲣ. ᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘ ᲧᲘᲠᲘᲛᲨᲘ

ᲡᲘᲛᲤᲔᲠᲝ�პᲝᲚᲔ, 15 ივნისი. (საკდესის კორ.). დღეს ყირიმში ჩამოვიდა შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ტაგე ერლანდერი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით იმყოფება სსრ კავშირში.

მეგობრობის სულისკვეთებით

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 15 ივნისი. (საკდესის კორ.). კრემლის დიდ სასახლეში დღეს გაიხსნა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის სამთავრობათაშორისო კომისიის მეოთხე სხდომა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციას მეთაურობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. შიმუნეკი, საბჭოთა კავშირისას — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ფ. ლომაკო.

სხდომა იხილავს ორივე ქვეყნის ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებს.

ᲓᲜᲔᲞᲠᲝ�პᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ.

დნეპროპეტროვსკი. დნეპროსპირეთის ეკონომიური რაიონის მეტალურგებმა ვადამდე შეასრულეს ფოლადის წარმოების შვიდწლიანი დავალება. ექვსწელიწადნახევარში აქ ლითონის გამოდნობა 75 პროცენტით გადიდდა.

ზაპოროჟიეს ჩქაროსნული ფოლადდნობის ოსტატებმა მიხეილ კინებასმა, ალექსანდრე ლობოდამ და ოლეგ ნევეინაკომ ამ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო რეკორდი დაამყარეს: ერთ დღე-ღამეში მეხუთე ღუმელში გამოადნეს ათი მძიმე წონის ნადნობი, გამოუშვეს 2.473 ტონა ლითონი, ნორმაზე ორნახევარჯერ მეტი.

ᲘᲣᲟᲜᲝ-ᲡᲐᲮᲐᲚᲘᲜᲡᲙᲘ.

სახალინ-ამურის კომსომოლსკს ნავთობსადენის მეორე ხაზის მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს ტრასის 108 კილომეტრიანი მონაკვეთი. ამ ხაზით სახალინის ნავთობი მძლავრ ნაკადად წავიდა შორეული ალმოსავლეთის ნავთობგადასამუშავებელ საწარმოებში.

წლის დამლეგამდე მშენებლები მოამზადებენ კიდევ 140 კილომეტრამდე მილსადენს.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ.

სომხეთში დაიწყო სამოცი კილომეტრი სიგრძის ახალი გაზის ტრასის მშენებლობა. იგი ერევანს დაუკავშირებს ოქტემბერიანთან, მილსადენი გაივლის არარატის ხეობას, ეჩმიაძინის, მასისა და სხვა პუნქტებს, მოამარაგებს მათ იაფი ბუნებრივი საბობით. წელს მშენებლები დამთავრებენ მეორე ტრასასაც — კიროვაკან-ალავერდის ტრასას.

მალე რესპუბლიკაში აშენდება კიდევ ერთი მაგისტრალური გაზსადენი, რომელიც ოქტემბერიანს დაუკავშირებს ლენინაკანთან. ამ გაზსადენის დამთავრების შემდეგ შეიქმნება დიდი გაზის რკალი, რომელიც იფი საობობით უზრუნველყოფს სომხეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრს.

ᲘᲐᲪᲢᲐᲢᲡᲙᲘ.

ათი წლის წინათ გეოლოგმა იური ხაბარდინმა დეპუში გაკოგზიგა ალმასის ახალი მდიდარი საბადოს აღმოჩენის შესახებ. მაშინ ეს სასწრაფო ცნობა რადისტმა მიუტანა გაქცეულებელმა იაკუტმა ითოკოტი ივლევამ, რომელმაც ირმებით გადალახა ტაიგა და ჭაობები.

ქალაქ მირნის ოცეათასიანი მოსახლეობა ზეიმით აღნიშნავს ალმასის მდიდარი საბადოს აღმოჩენის ათი წლისთავს. „იაკუტალმასის" ტრესტის ხელმძღვანელობამ აღნიშნა მირნის საბადოს ეუტერანთა შრომითი გმირობა. ესენი არიან: რუსი მახეელ ორლოვი, იაკუტი დიმიტრი ობლოკოვი და ბევრი სხვა.

ᲙᲘᲛᲨᲘᲜᲘᲨᲕᲘ.

მოლდავეთის მანქანაგამოსაცდელ სადგურში დაიწყო ტ-54ა ახალი ტრაქტორის გამოცდა. ტრაქტორი დამზადებულია კიშინიოვის ტრაქტორასაწყობ ქარხანაში. ეს მანქანა განკუთვნილია ბაღების დასამუშავებლად.

ახალი ტრაქტორის გარსედინის ფორმა, რომელიც გაცილებით დაბალია ვენახის ტრაქტორზე, გამორიცხავს ხეხილის დაბალი ტოტების დაზიანების შესაძლებლობას. ცხრასიჩქარიანი გადაცემათა კოლოფი უზრუნველყოფს სიჩქარეთა დიაპაზონს ერთიდან თექვსმეტ კილომეტრამდე საათში. ტრაქტორი შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის XXI სესიამ, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის XX და XXI სესიებს შორის პერიოდში თანამშრომლობის შედეგები და დაამტკიცეს 1965 წლის თემატიკა. გათვალისწინებულია მეცნიერთა და სპეციალისტთა ურთიერთმიგზავნილება საწარმოო გამოცდილებისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გასაცნობად, აგრეთვე სახალხო მეურნეობის განვითარების აქტუალურ საკითხებზე ტექნიკური დოკუმენტაციის ურთიერთი გადაცემა.

ᲞᲐᲢᲬᲐᲙᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ბ. კაკმთიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ლაშხმა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ა. რაზმაძემ რედაქციას აცნობეს: მცხეთის რაიონის მშრომელებმა ვადაზე ადრე დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 107.8 პროცენტით, რძისა — 105 პროცენტით. კვერცხისა — 124 პროცენტით, მატყლისა — 102,4 პროცენტით. შესრულებულია აგრეთვე ცხვრისა და ღორის ტყავის, ბუმბულის დამზადების ნახევარი წლის გეგმები.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ჩოხატაურის რაიონმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. კვინტარაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. მამალაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. დოლიძემ, — ვადაზე ადრე — 10 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა. სახელმწიფოს ხორცი მიეყიდა 89 ტონა ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 70 ტონისა, რძე — 3.514 ცენტნერი ნაცვლად 3.500 ცენტნერისა, ხოლო კვერცხის მიყიდვის გეგმა განაღდებულია 102 პროცენტით.

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ—68"

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

1965 წლის 15 ივნისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოსი-68" მორიგი გაშვება.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც განკუთვნილია იმისათვის, რომ გაგრძელდეს კოსმოსური სივრცის კვლევა იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია:

— მიმოქცევის საწყისი პერიოდი 89,77 წუთი;

— მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 334 კილომეტრი;

— მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 205 კილომეტრი;

— ორბიტის დახრილობა — 65 გრადუსი;

— გარდა სამეცნიერო აპარატურისა თანამგზავრზე არის: რადიოგადამცემი, რომელიც მუშაობს 19,996 მეგაჰერცი სიხშირით; რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

საკოორდინაციო

წრთობა პრაქტიკულ მუშაობაში ცდება

პირველადი პარტორგანიზაცია და ახალგაზრდა კომუნისტები

ხშირად ნახავთ ასეთ სურათს: აი პარტიული კომიტეტის შენობიდან სახეგაბრწყინებული ახალგაზრდა გამოვიდა... უკვე მერამდენედ იღებს იგი უბიდან წარეთლვდიან პატარა წიგნაკს და ხიყვარულით დაჰყურებს საკუთარ ფოტოსურათს, პირველ გვერდზე მსხვილ-ასოებიან წარწერას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. დიან, დღეიდან იგი ამ პარტიის წევრია.

ჭიათურაში ცოტა როდია მოწინავე მაღაროელი, რკინიგზელი, სხვადასხვა პროფესიის მუშა! და პარტიის რიგების ზრდაც ძირითადად ამ ადამიანთა ხარჯზე ხდება. ვინ მოთვლის, ამ უკანასკნელ წლებში რამდენი კუნთმაგარი ვაჟკაცი და შრომისმოყვარე ქალიშვილი გახდა პარტიის წევრობის მაღალი სახელის ღირსი. პირველადი პარტიული ორგანიზაციები კი მათი კოლექტიური აღმზრდელები არიან, რომლებიც დიდ უურადღებას უთმობენ პარტიაში შემსვლელთა ინდივიდუალური შერჩევის ლენინური პრინციპების დაცვას.

1963 წლიდან დღემდე ჭიათურის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ სკკპ რიგებში მიიღო 576 ამხანაგი, მათ შორის სკკპ წევრად — 292, წევრობის კანდიდატად — 284; კანდიდატებად მიღებულთაგან 198 მუშაა, ხოლო 59 ქალი. ეს უბრალო არითმეტიკა როდია. პირველადი პარტიული ორგანიზაციები პარტიის საქალაქო კომიტეტთან ერთად იბრძვიან იმისათვის, რომ პარტიის რიგებში მოხვდნენ მხოლოდ საუკეთესონი, ღირსეულნი.

მაგრამ პარტიაში ახალ წევრთა მიღება საქმის ერთი მხარეა. გულმოდგინე, ყოველდღიურ უურადღებას მოითხოვს პარტიის წევრობის კანდიდატებთან, ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობა.

ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვთ ლენინის სახელობის, დიმიტროვის სახელობის, კალინინის სახელობის, ორჯონიკიძის სახელობის, პერევისოსა და ახალი ოთხვსოის მაღაროების, დამხმარე წარმოების სამმართველოს, ტრესტ „ჭიათურმარგანმშენის“ სამრეწველო ნაგებობათა, მეტალურგეტსკავიციის, „შახტმშენის“ საშენ მასალათა კომბინატის სამმართველოების, ოთხვისის, ზოდის, ქვაციხის, უსახელოს საკალმეურნეო, გეზრულის ტერიტორიულ, ხრეითის სასკოლო და სხვა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

დასახელებულ და ქალაქის ზოგიერთ სხვა პარტორგანიზაციებთან სისტემატურად, თვეში ერთხელ ეწყობა ახალგაზრდა კომუნისტთა შეკრებები, რომლებზეც სწავლობენ სკკპ პროგრამისა და წესდების ცალკეულ საკითხებს, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს. დიმიტროვის სახელობის მაღაროს პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილებებით, რასაც პარტიის საქალაქო კომიტეტმა დაუჭირა მხარი, პარტორგანიზაციასთან შეიქმნა პარტიული მშენებლობის საკითხების შემსწავლელი სკოლა, რომელშიც ახალგაზრდა კომუნისტებთან ერთად უპარტიო აქტივისტები და კომკავშირელები არიან გაერთიანებული.

ჭიათურელი მაღაროელები და მშენებლები სასახელოდ შრომობენ იმისათვის, რომ სამშობლოს მიაწოდონ მეტი და მაღალხარისხოვანი მარგანეცი. შარშან მარგანეცის ტრესტმა და მასში შემავალმა საწარმოებმა რამდენჯერმე გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში. წელსაც პირველი ადგილი ეკუთვნის შედეგების მიხედვით მარგანეცის ტრესტს მიეკუთვნა პირველი ადგილი და ფულადი პრემია, მასვე გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. რესპუბლიკაში მეორე ადგილი მიეკუთვნა კალინინის სახელობის მაღაროს, ხოლო მესამე — დიმიტროვის სახელობის მაღაროს და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივებს.

გეგმების შესრულებაში სათანადო წვლილი შეაქვთ ახალგაზრდა კომუნისტებს; მათ შორის ალსანიშნავი არიან ლ. გაფრინდაშვილი, ლ. ტუკვაძე, ა. ცერცვაძე, გ. კაპანაძე (ლენინის სახელობის მაღარო); ა. იაკობიძე, გ. გაბრიელიძე, შ. ფარჯანაძე (მაღარო ახალი ოთხვისი); ა. გულიაშვილი ლ. ტაბატაძე, (კალინინის სახელობის მაღარო); ე. დარაბეგოვი, რ. გოცაძე, ა. აბრამშვილი, ო. გველესიანი (ცენტრალური დამყვანი ფაბრიკა); ზ. კუსიანი, ტ. ბარბაქაძე, კ. მაკაძე (პერევისის მაღარო); ნ. მაკარაშვილი, კ. ჭაოშვილი (ბინმშენის სამმართველო); ნ. რიგიშვილი (ჭიათურმშენის სამმართველო) და ბევრი სხვა, რომლებმაც უკვე შეასრულეს პირადი შვიდწლედი.

ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს პარტიულ ორგანიზაციაში (კომიტეტის მდივანი ბ. ცუხიშვილი) აღრიცხვაზე მყოფი კომუნისტების 20 პროცენტი ახალგაზრდებია. პარტიული კომიტეტი და მასში შემავალი პარტორგანიზაციები გარკვეულ მუშაობას ეწევიან ახალგაზრდა კომუნისტთა იდეური წრთობისათვის. უველა ახალგაზრდა კომუნისტი გაერთიანებული იყო პოლიტიკური და ეკონომიური სწავლების წრეებსა და სემინარებში. 20 ამხანაგი წარმოებისაგან მოუწვევიეს იღებს უმაღლეს განათლებას, — 5 სამუალოს, ხოლო 8 ემზადება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად.

პარტიაში უველა ახალმიღებულს აქვს მუდმივი და ერთდროული პარტიული დავალებები, რომლებსაც ბევრი მათგანი მონდომებით ასრულებს. ამ მხრივ გამოირჩევიან ელექტროშეინკალი, აგიტატორი ო. ხელიძე, ტრანსპორტის დისპეტჩერი, აგიტატორი რ. ტატიშვილი, ტრანსპორტის გამგის მოადგილე, ჭალების მაღაროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ა. აბესაძე, სკრეპერის მემანქანე, პროფკავშუფორგი გ. კაპანაძე, რკინიგზელი პროფკავშუფორგი უ. ბრეგვაძე, ზეინკალი, კომკავშირული ჯგუფის ორგანიზატორი ი. ლომსაძე. ცვლის უფროსი, ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის კომისიის წევრი ნ. ზარნაძე, ინჟინერი, წარმოების ეკონომიკის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტი თ. მიქაშავიძე და სხვები.

მაღაროს ახალგაზრდა კომუნისტებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ახალი ტექნიკის დანერგვის საქმეში. ვაგონების შემკეთებელი საამქროს უფროსმა რ. ასანიძემ წინადადება შეიტანა გადამყარავებლების მბიძავებზე და გადამცემ ღერძებზე ქაროებით შეერთება შეიცვალათ ცილინდრი გადაცემით ეს წინადადება განხილულ და მიღებულ იქნა, რითაც წარმოებამ 2.607 მანეთი წლიური ეკონომია მიიღო.

ახალგაზრდა კომუნისტის რ. ახრახაძის წინადადება ეხებოდა ცენტრალურ გამადიდრებელ ფაბრიკაში ორის ნაცვლად ერთი ტრანსფორმატორის დატვირთვას. ამ წინადადების განხორციელებამ გაუმჯობესა ელექტროენერგიის მოხმარების სიმძლავრის კოეფიციენტი.

წარმოებაში სიახლის დანერგვის რაციონალიზატორული წინადადებების ავტორები არიან აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტები გ. აბესაძე, ა. ნეფარიძე, გ. კაპანაძე, ბ. გულიაშვილი, ლ. ტაბატაძე და სხვები.

მაღაროს ახალგაზრდა კომუნისტებს გაბედულად აწენიაურებენ. ბევრი მათგანი უნარიანად ხელმძღვანელობს ცვლას, უბანს და თვით მაღაროს. პარტიაში ახალმიღებულნი აქტიურად არიან ჩაბმული პარტიული კრებისათვის საკითხების მომზადებაში. მაგალითად, პარტიაში ახალმიღებულმა კომუნისტებმა — ელექტროშეინკალმა ჯ. სამხარაძემ და მებიგე გ. ლომსაძემ გამოცდილ კომუნისტებთან ერთად შეისწავლეს მაღაროს მეტ წილ უბნებში გამაგრების პასპორტის უხეშად დარღვევის შემთხვევები. აქვე ადგილი ჰქონდა დატალახიანებას და დახერგილობას, რაც თავისთავად ხელს უწყობდა სამთო ტექნიკური უსაშიშრობის წესების დარღვევას და ტრავმატიზმის ზრდას. პარტიულმა კომიტეტმა მათი წინადადებები განიხილა და დასახა ღონისძიებები ამ ხარვეზებთან გამოსასწორებლად. ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია. მაგალითად, თუ № 1 უბანმა მარგანეცის გამოღების იანვრის გეგმა 81,2 პროცენტით შეასრულა, თებერვალში იგი განაღდებულ იქნა 101,7 პროცენტით, მარტში 125,8, აპრილში — 106,9 პროცენტით და ა. შ.

ანალოგიურად გაადიდეს მარგანეცის გამოღება სხვა უბნებმაც, და მთლიანად მაღაროს მაღალი ხარისხის მარგანეცის დამზადების ოთხი თვის დავალება 102,6 პროცენტით შეასრულა, ამაღლდა წარმოების კულტურა. წინა წელთან შედარებით შემცირდა ტრავმულ შემთხვევათა რაოდენობა.

პარტიაში ახალმიღებული, მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული კომუნისტების ნ. შეყლაშვილი, დ. მოდებაძე, ს. მოდებაძე, შ. კობიაშვილი (მაღაროს ახალი ოთხვისი), ნ. ჭოიკაძე, გ სამყურაშვილი, ტ. ბრეგვაძე, პ. გაფრინდაშვილი (კალინინის სახელობის მაღარო), ნ. ბერიშვილი, გ. ჯუმბურიძე, ნ. გურგენაშვილი, გ. მუმლაძე, მ. ჯიქურიძე (პერევისის მაღარო), ა. წერეთელი, შ. მუმლაძე, ზ. ნადირაძე (სამრეწველო ნაგებობათა მრეწველობის სამმართველო), ა. ლაცაბიძე, ა. სარალიძე (საშენ მასალათა კომბინატი), დ. კაპანაძე, ჯ. მეგრელიშვილი (ოთხვისის კოლმეურნეობა). ჯ. ობაშვილი, ბ. ჭიღლაძე, ს. ობაშვილი (ზოდის კოლმეურნეობა), ა. ზაბახიძე, ზ. ქურცაძე (დამხმარე წარმოებათა სამმართველო), რ. გაფრინდაშვილი (მეორე რვაწლიანი სკოლა), ა. შეყილაძე (გეზრულის ტერიტორიული პარტორგანიზაცია) და ბევრი სხვა საქმით ამართლებენ კომუნისტის საპატიო სახელს.

მაგრამ ყოველივე ეს იმის თქმის საშუალებას არ გვაძლევს, რომ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობაში ყველაფერი რიგზე იყოს და ნაკლოვანებები არ გვქონდეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველადი პარტორგანიზაციების მნიშვნელოვან რაოდენობას უკანასკნელი ორი წლის მანძილზე სკკპ რიგებში მიღება არ უწარმოებია.

ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ ფაქტებს, როცა პარტორგანიზაციები პარტიაში მიღების შემდეგ ახალმიღებულთა ბედიდადმი ინტერესს აღარ იჩენენ, არ აწრთობენ ყოველდღიურ დავალებათა შესრულებაში, რის გამო ზოგი მათგანი ვერ ამართლებს კომუნისტის მაღალ სახელს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პარტიაში ახალმიღებულ 12 ამხანაგს სხვადასხვა დანაშაულისათვის დაედო პარტიული სასჯელი, ორ კაცს კი უარი ეთქვა სკკპ რიგებში წევრად მიღებაზე.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ ქალაქის უველა პირველადი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ ყოველდღიურად არ მუშაობს პარტიაში ახალმიღებულებთან, ივიწყებს იმას, რომ ადამიანებთან მუშაობა მათი პარტიის რიგებში მიღებით კი არ მთავრდება, არამედ საჭიროა მათთან ყოველდღიური მუშაობა, მათი იდეური აღზრდა და მათში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთების გამომუშავება.

საქალაქო კომიტეტში, პარტორგანიზაციების მდივნების ყველა შეკრებაზე ანალიზს ვუკეთებთ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებებს და ვსახავთ ღონისძიებებს პარტიის რიგების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის.

ყოველდღიურად ვზრუნავთ იმისათვის, რომ ლენინურ პარტიას მივცეთ ღირსეული შევსება.

გ. გაფრინდაშვილი.

საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

დროშა — გამარჯვებულს

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამუშავების მთავარი სამმართველოს ობიექტებს შორის პირველი კვარტალის შედეგებით გამარჯვებული გამოვიდა ენგურის ხე-ტყის დაცურების კანტორის კოლექტივი, რომლისაც ვაუკეთა სატყეო ქალაქდისა და ხის დამუშავების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამუშავების მთავარი სამმართველოს გარდამავალი დროშა ... .

გამარჯვებულმა კოლექტივმა იკისრა დიდ ოქტომბრის დღესასწაულისადმი დასრულოს წლიური დავალება.

თელავი. (საკ. კორ.). თელავის ხორცკომბინატის კოლექტივმა (დირექტორი გ. ავაქოვი) მიმდინარე წლის პირველი კვარტალი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრა. 151 ათასი მანეთის ნაცვლად 190 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია გამოუშვა. ხორცის გამოშვების დავალება 125,4 პროცენტით გაასაღდა, ძეხვეულისა კი — 102,6 პროცენტით.

ხორცკომბინატმა საქართველოს კკპის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირისა და ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია დაიმსახურა.

ტყე — სახალხო სიმდიდრე!

მახარაძელი მეტყევეები პირველ ადგილზე

მახარაძე. (საკ. კორ.). სატყეო მეურნეობა აერთიანებს მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების სატყეო ფონდს, რომელსაც 25.322 ჰექტარი უჭირავს.

მეურნეობის კოლექტივი მზრუნველობით უელს სახალხო სიმდიდრეს — ტყეს. მუშაკთა ენერგიული მეცადინეობით მინიმუმამდე შემცირდა უხეპართვო მოჭრა. ტყე მდიდარია ბვიფფასი ჯიშის მცენარეებით. იქ ბევრი გარეული ცხოველი და ფრინველია. გულისხმიერი მეტყევეები ერთგულად იცავენ ფაუნასაც.

სატყეო მეურნეობამ ტყეების გაშენების, ქარსაფარი ზოლების მოწყობისა და სხვა სამუშაოთა 7-წლიანი გეგმა ვადაზე ადრე — 5 წელიწადში შეასრულა. მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 1.400 ჰექტარის ნაცვლად გაშენებულია 2.340 ჰექტარი ტყე, 90 ჰექტარზე გაშენებულია ქარსაფარი ზოლი, 40 ჰექტარზე მოწყობილია სკოლა-პლანტაციები, 11,3 ჰექტარზე — ახალი სანერგე, სიდადაც მიღებულია 5 მილიონზე მეტი ნერგი. ყოველივე ზემოჩამოთვლილი დიდად სეკრობს შვიდწლედის დასრულებას.

ტყე — სახალხო სიმდიდრე! ... ...

კაცობრიობა აღშფოთებულია

ინგლისი. ინგლისის ცენტრალურ საგრაფოთა პროფკავშირების საბჭოების ფედერაციამ, რომელიც 500.000 წევრს აერთიანებს, მიმართა ინგლისის მთავრობას და მოუწოდა გამოიყენოს ყველა საშუალება, რათა მიღწეულ იქნეს ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგება და უცხოელთა მთელი ჯარების გაყვანა ვიეტნამის ტერიტორიიდან.

პარლამენტის წევრმა ლიბერალმა ტორპამ, რომელიც გამოვიდა ვულკომბში (დეკონშირის საგრაფო), დაგმო ვილსონის მთავრობა იმის გამო, რომ იგი აბჯიბინებს „პრეზიდენტ ჯონსონის მორჩილი ფინიის“ როლი შეასრულოს ვიეტნამის საკითხში. როგორც გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ პოლიტიკური კორესპონდენტი აღნიშნავს, ვილსონისათვის სანუგეშოა ის, რომ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების მხარდაჭერის პოლიტიკას, რომელსაც იგი ანხორციელებს, „ხავსებით იწონებენ კონსერვატორები“. ■

იბანია. ქალაქ რეჯო ემილიაში ტოსკანის, მარკეს, უმბრის, ემილიისა და იტალიის სხვა ოლქების ახალგაზრდობის დელეგაციებმა ვიეტნამის ხალხთან სოლიდარობის დემონსტრაცია მოაწყვეს. დემონსტრაციის შემდეგ გამართულ მიტინგზე გამოვიდა იტალიის კომუნისტური პარტიის იმ დელეგაციის წევრი, რომელიც ამას წინათ ეწვია ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. იტალიის ახალგაზრდობის კომუნისტური ფედერაციის ეროვნული მდივანი ა. ოკეტო. მან გარიბალდიელთა ანტონიო გრამშის სახელობის პარტიზანული ბრიგადის ვეტერანებს გადასცა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ერთ-ერთი შენაერთის არტილერისტთა საბრძოლო წოვილი დროშა.

შვეიცია. სტოკჰოლმის ასამდე ქალაქელმა და ჰაბუმა მიიღო მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციაში შეერთებული შტატების აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ვიეტნამის მიმართ.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენეს პოლიციელები, რომლებსაც ჰყავდათ ძაღლები. დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი.

პარაგვაი. პარაგვაის ეროვნული განთავისუფლების ერთიანმა ფრონტმა გადაჭრით დაგმო სტრესნერის დიქტატორული მთავრობის გადაწყვეტილება გაგზავნოს პარაგვაის ჯარები დომინგოს რესპუბლიკაში. ფრონტის განცხადებაში მხილებულია რეაქციული ხასიათი ეგრეთწოდებული ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც შექმნეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშირობად დომინგოს რესპუბლიკაში.

სანტო-დომინგოს ხალხმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი, ხაზგასმულია განცხადებაში. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲛᲔᲪᲙᲘᲪᲔ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ჰანოი, 15 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა, მედიცინის მუშაკთა ასოციაციამ და წითელი ჯვრის საზოგადოებამ გუშინ გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ამერიკის თვითფრინაველებმა 13 ივნისს დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ნგე-ანის პროვინციის კინ-ლუს რაიონის სანატორიუმს. ამის იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო. ამერიკის თვითმფრინაველებმა, აღნიშნულია განცხადებაში, ადრე არაერთგზის დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს კუანგ-ბინის, ნგე-ანის პროვინციების საავადმყოფოებს, აგრეთვე ვინ-ლის საავადმყოფოს.

ᲨᲐᲡᲢᲠᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ

ლონდონი, 15 ივნისი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა შასტრიმ, რომელიც დღეს ლონდონს ჩამოვიდა, აეროპორტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, მეშინია, იმან, რომ შეერთებული შტატები სულ უფრო მეტად ერევიან ვიეტნამის საქმეებში, შემდგომი გართულება და კონფლიქტის შედეგად სერიოზული მდგომარეობის შექმნა არ გამოიწვიოსო. ამასთანავე შასტრიმ გამოთქვა იმედი, რომ რაიმეს იღონებენ ვიეტნამში მშვიდობის დასამყარებლად. შასტრიმ შეერთებულ შტატებს მოუწოდა შეწყვიტონ ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვა.

შასტრიმ განაცხადა, მე მინდა, რომ თანამეგობრობის ქვეყნების პრემიერ-მინისტრთა კონფერენციამ ვიეტნამის საკითხზე იმსჯელოსო.

ᲘᲐᲠᲘᲨᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲖᲔᲠᲘᲔᲡ

კაირო, 14 ივნისი. (საკდესი). იემენის არაბთა რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის გაერთიანებულმა შეიარაღებულმა ძალებმა წარსულ კვირაში ორჯერ მოიგერიეს იემენის საადის რაიონზე როიალისტური ძალების თავდასხმა, რომლებიც მხარს უჭერენ ჩამოგდებულ იმამ ელ-ბადრს. ეს განაცხადა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენელმა საადში, იუწყება მენის საგაზეთო. ბრძოლების შედეგად მოწინააღმდეგეს დაეხოცეს 74 კაცი და დაუჭრეს, 86. გარნიზონის სარდლობამ აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა ტყვედ ჩავარდნილ დაჭრილ მეთვალყურეებს მიაჩნიათ, მენდე, კარგად იცოდა, ეს ბაგრატიონმაც და მისი რაზმის თვითეულმა ჯარისკაცმაც. „გენერლიდან და ჯარისკაცამდე, — წერს ბრძოლის მონაწილე ნოროვი, — ყველამ იცოდა (სადაც გზავნიდნენ — ი. ა.) და ბაგრატიონი ბრძოლის წინ მოწვეულ თათბირზე თავის ოფიცრებთან ერთად სიკვდილს პირდაპირ თვალებში შესცქეროდა“. მიუხედავად ასეთი საფრთხისა, ბაგრატიონი ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა. მან 1805 წლის 4 ნოემბერს სოფელ შენგრაბენთან მკერდით შეაჩერა ფრანგების ჯარი, უზრუნველყო რუსეთის არმიის უკანდახევა, გადაარჩინა ის უდიდეს საფრთხეს და დარჩენილი ნაწილით კუტუზოვს შეუერთდა.

მთავარსარდალი, რომელიც ბაგრატიონის ცოცხლად დაბრუნებას არ მოელოდა, გახარებული და არაჩვეულებრივად გაკვირვებული დარჩა. ეს სრულიად უმაგალითო გმირობა იყო ომების ისტორიაში. გენერალ ნოროვის სიტყვით, ამ გმირობით „ბაგრატიონმა დაიდგა ძეგლი, რომელსაც სამუდამოდ შეინახავს სამხედრო ისტორია“.

დადგა 1812 წელი. საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ ბონაპარტე 575 ათასიანი არმიით, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა რუსეთს. რუსეთის ჯარი სამ არმიად იყო დაყოფილი. სამხრეთ ლიტვაში განლაგებულ მეორე არმიას ბაგრატიონი სარდლობდა, პირველ არმიას კი ბარკლაი-დე-ტოლი. საზღვარზე გენერალური ბრძოლის გაჩაღება რუსეთის სარდლობას დაშლუპველად მიაჩნდა და ამიტომ ჯარმა ომი უკანდახევით დაიწყო. ამის მიზანი იყო ნაპოლეონის შემოტყუება რუსეთის შუაგულში და განადგურება.

რუსეთის არმიის ნაწილებად დაყოფა დიდი შეცდომა იყო და ნაპოლეონმაც გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს შეცდომა. იგი შეეცადა პირველ და მეორე არმიებს შუა შეჭრილიყო და ცალცალკე დაემარცხებინა ისინი.

ბაგრატიონი მდგომარეობის მიხედვით მარჯვენა იცვლდა მიმართულებას, რითაც მტერს აბნევდა და აიძულებდა წინასწარ მიღებული გეგმა ძირფესვიანად შეეცვალა. დავუ, ეერომი და პონიატოვსკი დაიწმუნებული იყვნენ, რომ ბაგრატიონს რკალში მოიმწყვდევდნენ და გაანადგურებდნენ, სანამ ის დნეპრის მარცხენა ნაპირზე გავიდოდა და ბარკლაის შეუერთდებოდა. მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა. სუვოროვისებური სისწრაფის განვითარებით ბაგრატიონმა მდინარე დნეპრი გადალახა, მაგრამ არა მოგილოვთან, სადაც მტერი ელოდა, არამედ ნოვი ბიხოვთან. ამ მოულოდნელობით ბაგრატიონმა ნაპოლეონი დაბნია. თვითონ კი, გაიდა რა მარცხენა ნაპირზე, იხსნა არმია და უზრუნველყო ბარკლაისთან შეერთება სმოლენსკში.

ნაპოლეონი მთელი თავისი არმიით სმოლენსკისაკენ გაეშურა, რათა აქ ეიძულებინა რუსები გენერალური ბრძოლა გაემართათ. სმოლენსკთან მართლაც გაჩოდა ბრძოლა, მაგრამ იგი გენერალური არ ყოფილა. ამ ქალაქიდან რუსებმა ბარკლაის ბრძანებით აღმოსავლეთით — მოსკოვისაკენ განაგრძეს სვლა. ბაგრატიონი, რომელიც აქამდე აღშფოთებული იყო ბარკლაის უკანდახევის ტაქტიკით, ახლა, სმოლენსკის დატოვების შემდეგ, უკიდურესობამდე მივიდა. ის აშკარად და ხმამაღლა კიცხავდა ბარკლაის ასე შორს უკანდახევისათვის და იმპერატორს სწერდა, ასეთ პირობებში ჯარში დარჩენა შეუძლებელად და სამარცხვინოდ მიმაჩნიაო.

ამ დროს მთავარსარდალად დანიშნეს კუტუზოვი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ბოროდინოს ისტორიული ბრძოლა. ამ ბრძოლაში კუტუზოვის შემდეგ მთავარ როლს ბაგრატიონი ასრულებდა.

7 სექტემბერს დილის 6 საათზე ფრანგებმა იერიში დაიწყეს. ნაპოლეონის არმიის საუკეთესო კორპუსები მიურატის, დავუს და ნეის მეთაურობით მოქმედებდნენ ბაგრატიონის, როგორც ყველაზე საშიშ მტერი, ნინაღმდეგ. გაფთრებული ბრძოლის პროცესში ეგრეთწოდებული „ბაგრატიონის ფლეშები“ რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში. ნაპოლეონმა მარტო მათ წინააღმდეგ 400 ქვემეხი აამოქმედა, რაც საფრანგეთის არტილერიის ორ მესამედზე მეტი იყო. და მტერმა მაინც ვერ გატეხა რუსთა სიმაგრე. ბოროდინოს ველზე თავგანწირული ბრძოლის დროს ბაგრატიონი მძიმედ დაიჭრა.

1812 წლის 24 სექტემბერს გარდაიცვალა სახელგანთქმული მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი.

— მთელი ავადმყოფობის განმავლობაში, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, დღისით თუ ღამით მომაკვდავის საწოლთან ვიმყოფებოდი. მას აუტანლად სტკიოდა დაჭრილი ფეხი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთხელაც არ დაუჩიენია თავისი მძიმე ხვედრი და ტანჯვა, რომელსაც იგი ჰეროიზმრიტად ჯბრიულად იტანდა. სიკვდილს პეტრე ივანეს-ძე ისევე დამშვიდებით შეხვდა, როგორც ხვდებოდა მას მუდამ ომის ბრძოლის ველზე — ასე იგონებს ბაგრატიონის სიცოცხლის უკანასკნელ საათებს მეორე არმიის ექიმი განგარტი.

სახელოვანი წინაპრის დიდი სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც მამულიშვილობის, კაცურკაცობის შესანიშნავი მაგალითი.

პროფესორი რ. ანთელავა.

ᲒᲔᲠᲚᲘᲜᲘ, 15 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ).

Ი. ტიტოსა და ვ. ულბრიხტის ერთობლივი განცხადება

აქ გამოქვეყნდა ერთობლივი განცხადება იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ვიზეტის მესახებ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. განცხადებაში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების დროს, რომელიც გაიმართა ი. ტიტოსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვ. ულბრიხტს შორის, მოხდა აზრთა საცვლა. ორივე ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის, მათი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ პრობლემებზე. აღინიშნა, რომ ორივე ქვეყანა ერთნაირი აზრისაა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებზე.

ორივე მხარემ დიდი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მწვავდება საერთაშორისო მდგომარეობა და სერიოზული საფრთხე ექმნება მშვიდობის საქმეს, რაც განსაკუთრებით გამომჟღავნდა ამ ბოლო დროს იმპერიალისტური, რეაქციული ძალების იმ ცდების შედეგად, რომ ცალკეულ ხალხთა საშინაო საქმეებში აშკარად ჩარევის, ძალის პოლიტიკის გამოყენების გზით ხელი შეუშალონ ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური განთავისუფლების პროცესს და პროგრესს მსოფლიოში.

განცხადებაში დაგმობილია ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედება ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და შეიარაღებული ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში. იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე მხარს უჭერენ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას და მოითხოვენ შეწყდეს აგრესიული აქტები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

განცხადებაში ნათქვამია, რომ შეიარაღებული ინტერვენცია დომინგოს რესპუბლიკაში, ჩარევა კონგოელი ხალხისა და სხვა განთავისუფლებული ქვეყნების საშინაო საქმეებში აგრეთვე სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს.

ი. ტიტო და ვ. ულბრიხტი მხარს უჭერენ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. ისინი მხარს უჭერენ იმას, რომ მოეწყოს ევროპის სახელმწიფოთა კონფერენცია ევროპის უშიშროების საკითხზე, მსოფლიო კონფერენცია განიარაღების საკითხზე, მოითხოვენ განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება, შეიქმნას უატომო ზონები, აიკრძალოს ატომური იარაღის შემდგომი გავრცელება.

ორივე მხარეს მიაჩნია, რომ ევროპის ხალხთა მშვიდობიანი განვითარებისა და უშიშროების გზაზე მთავარი დაბრკოლებაა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მილიტარისტული და რევანშისტული ძალების სულ უფრო მზარდი აქტივობა, რომლებსაც სურთ გადასინჯონ მეორე მსოფლიო ომის შედეგები და არსებული საზღვრები, ცდილობენ მოიპოვონ უფლება განაგებდნენ ატომურ იარაღს. ორივე მხარე ხაზს უსვამს, რომ საჭიროა მსოფლიოს სხვა ძალებთან ერთად იბრძოლონ ამ საფრთხის წინააღმდეგ. ევროპის მშვიდობა და უშიშროება, ნათქვამია განცხადებაში, შეიძლება უზრუნველყოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ ძალთა არსებულ თანაფარდობას ევროპაში და ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს რეალურად არსებობას.

ვ. ულბრიხტი და ი. ტიტო შეთანხმდნენ, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების თანამშრომლობა, აგრეთვე აზრთა ორმხრივი და მრავალმხრივი გაზიარება თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით ხელს შეუწყობს მათს უკეთეს ურთიერთგაგებასა და მოქმედების ერთობის განმტკიცებას. პარტიების ურთიერთობას, ხაზგასმულია განცხადებაში, საფუძვლად უნდა დაედოს ის, რაც აკავშირებთ მათ მშვიდობის შენაჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმის შენებლობაში, აგრეთვე პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხისა და მთელი კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წინაშე.

„ᲐᲜ-22“ ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

პარიზი, 15 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა ახალი გიგანტური საბჭოთა თვითმფრინავი „ან-22“. იგი წარმოდგენილ იქნება საავიაციო გამოფენაზე, რომელიც მოეწყო ლე ბურჟეს აეროდრომზე პარიზის მახლობლად.

ᲞᲝᲡᲬᲜᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲖᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ვარშავა. პოზნანის 64-ე საერთაშორისო ბაზრობაზე გამმართა საბჭოთა კავშირ[illegible] [illegible] [illegible] [

პირველი შეხვედრა

ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔ ᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ

ტყიბული. (საკ. კორ.). იყო დრო, როცა ტყიბულის ქვანახშირის ნაღაროებში წყრა-კითხვის უცოდინარი ადამიანები მუშაობდნენ. მეშახტის ოჯახში წიგნს იშვიათად ნახავდით. სულ სხვა სურათია აქ დღეს. მეშახტეთა დიდი უმრავლესობა ეტანება მხატვრული ლიტერატურის კითხვას. წიგნს ისინი განუყრელ მეგობრად თვლიან. ბევრმა მეშახტემ თავისი საკუთარი ბიბლიოთეკაც შექმნა.

წიგნის ერთთვიურის დროს, რომელიც ახლახან მოეწყო, ლენინის სახელობის შახტის მეშახტეებმა 1.000 მანეთზე მეტი ღირებულების მხატვრული და ტექნიკური ლიტერატურა შეიძინეს.

დღეს ფილარმონიის თეატრში გასტროლებს იწყებს პოპულარული ფრანგული თეატრი „ატელიე“. ამ თანამედროვე ფრანგულ პროგრესულ თეატრს ხელმძღვანელობს სახელგანთქმული ფრანგი აქტიორის, რეჟისორისა და პედაგოგის შარლ დიულენის მოწაფე ანდრე ბარსაკი — მაღალი კულტურისა და გემოვნების ხელოვანი. ანდრე ბარსაკი კარგად იცნობს რუსულ ლიტერატურას. აღზრდილია რუსული თეატრალური ხელოვნების ტრადიციებზე, და სწორედ ამ ფაქტებმა განაპირობა, რომ თეატრ „ატელიეს“ სცენაზე წარმატებით განხორციელდა რუსული კლასიკური დრამატურგიის ნაწარმოებები — დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, გოგოლის „რევიზორი“, ჩეხოვის „თოლია“ და სხვ.

თეატრი პირველად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, ახლახან წარმატებით ჩაატარა გასტროლები მოსკოვში. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში ანდრე ბარსაკმა განაცხადა:

— ქართველ მაყურებელთან შეხვედრა ჩვენ დიდად გვაღელვებს, რადგან ცნობილია, რომ თბილისი დიდი თეატრალური კულტურის ქალაქია. საგასტროლოდ ჩამოვიტანეთ ბომარშეს „სევილიელი დალაქი“, ტურგენევის „ერთი ფეხ სოფლად“, ჟან ანუის „ანტიგონა“ და ა. მონიეს „დასაფლავება“. ჩვენს დასში მონაწილეობენ ცნობილი მსახიობები კატრინა სელერსი, ჟილფენ სეირიგი, ჟან დავი და სხვები, რომელთა ოსტატობას მოსკოვის პრესამ მაღალი შეფასება მისცა. ვეცდებით თბილისელი მაყურებლის სიმპათიაც დავიმსახუროთ.

თქვენი გაზეთის მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ის ფაქტი, რომ ჩვენი თეატრის დამაარსებელთაგანი იყო ცნობილი ქართველი ხელოვანი ვასო ყუშიტაშვილი. იგი დიულენთან ერთად იღვწოდა, რომ ჩვენს თეატრს პროგრესული მიმართულება ჰქონოდა, და ჩვენც ვცდილობთ არასოდეს არ ვუღალატოთ ამ შესანიშნავ ტრადიციას.

კარგად მახსოვს ვ. ყუშიტაშვილის მუშაობა კარლ გოლდონის „მარაოს“ დადგმაზე. იმ ხანებში მე დეკორატორად ვმუშაობდი. გოლდონის ამ სპექტაკლმა მაყურებლის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ეს იყო 1924 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ ვ. ყუშიტაშვილი ამერიკაში წავიდა და შემდეგ აღარ შევხვედრივარ. ვნანობ, რომ თბილისში მას ცოცხალს ვერ ჩამოვუსწარი.

თბილისში ექვს დღეს დავყოფთ. შემდეგ ერევანში გვაქვს გასტროლები და ამით დავამთავრებთ პირველ შეხვედრას საბჭოთა მაყურებელთან.

• • •

სურათზე: ფრანგულ თეატრ „ატელიეს“ მსახიობთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): წინა პლანზე — ანდრე ბუკრი, რენე ტიერბანი, ელიზაბეტ აღენი, ანდრე ბარსაკი (თეატრის ხელმძღვანელი), რობერ ეჩვერი; მეორე პლანზე — ჟაკ ფრანსუა, ოლივიე იუსენო, ბერნარ კლემანი, ჟან მონკორბიე, ჟან ფრანვალი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საოპერო სცენის მოამაგე

ს. ი. პოლიანოვი — არტისტული და ადმინისტრაციული მოღვაწეობის 50 წლისთავის გამო

ჩვენი დედაქალაქის მუსიკალური და თეატრალური საზოგადოებრიობა მაღლიერების გრძნობით აღნიშნავს ქართული საოპერო ხელოვნების ჩემი, მაგრამ დაუღალავი მოამაგის — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და बალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი ადმინისტრატორის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის **სამუელ პოლიანოვის** შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ადმინისტრაციული საქმიანობის 50 წლისთავს.

სამუელ პოლიანოვი 1915 წელს მოიწვიეს თბილისის საოპერო თეატრის სოლისტად და მას შემდეგ დღემდე მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე განუყრელად არის დაკავშირებული ქართულ მუსიკალურ კულტურასთან. სამუელ პოლიანოვი მოწმეა ქართული პროფესიონალური საოპერო ხელოვნების . ზრდისა და განვითარებისა, ეროვნული საოპერო რეპერტუარის განმტკიცებისა. როგორც თვითონ იგონებს, 1915 წელს, როცა იგი თბილისის საოპერო თეატრში მოიწვიეს გამოჩენილი დირიჟორის პოზოვსკის რეკომენდაციით, თეატრში მხოლოდ ორი ქართველი მომღერალი დახვდა: სოპრანო — ო. კალანდაძე და ბანი — გ. ქურხული. დღეს თბილისის თეატრში მუშაობს მაღალპროფესიული ეროვნული საოპერო და საბალეტო დასი. 1915 წელს ჩვენ არ გაგვაჩნდა არცერთი საოპერო ან საბალეტო ნაწარმოები. დღეს კი ჩვენი თეატრის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ ნაწარმოებებს. ასეთი რადიკალური ცვლილებების ცოცხალი მოწმეა სამუელ პოლიანოვი. მის მოღვაწეობას და ნაყოფიერ ადმინისტრაციულ საქმიანობას ღირსეულად აფასებენ ჩვენი მუსიკალური საზოგადოებრიობა და საოპერო თეატრის კოლექტივი.



როგორც საოპერო თეატრის სოლისტს, სამუელ პოლიანოვს შესრულებული აქვს 75 საოპერო პარტია. იგი შესანიშნავად ასრულებდა მეორე საპასუხისმგებლო პარტიებს და ეს საპატიო ტვირთი მას მრავალი წლის განმავლობაში ერთგულად მიჰქონდა. კარგი ხმა და მუსიკალობა შესაძლებლობას აძლევდა შეესრულებინა პირველი პარტიებიც, ისეთი, როგორიც არის ლენსკი პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში“ და გრაფი ალმავივა როსინის „სევილიელ დალაქში“.

მრავალფეროვანია სამუელ პოლიანოვის მუშაობა, როგორც ადმინისტრატორისა. მან პირველმა პრაქტიკულად განახორციელა ზაქარია და იავნე ფალიაშვილების ჩანაფიქრი ოპერის სპექტაკლების საგასტროლოდ გატანის თაობაზე საქართველოს ქალაქებში. ეს ძნელი საქმე სამუელ პოლიანოვმა მაღალ დონეზე ჩაატარა და საქმიანი ორგანიზატორობა გამოიჩინა. იგი თეატრში სოლისტად მუშაობასთან შეთავსებით, ცნობილი ქართველი დირიჟორის ევგენი მიქელაძის თანაშემწე იყო სიმფონიურ ორკესტრში, სადაც შესანიშნავად ახორციელებდა დირიჟორის ჩანაფიქრ ღონისძიებებს, ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთელი გასტროლიორების მოწვევას და ორკესტრის მაღალი კვალიფიკაციის მუსიკოსებით დაკომპლექტებას. უცხოელმა მუსიკოსებმა გარკვეული დადებითი როლი შეასრულეს შემდგომ ეროვნული პროფესიონალ მუსიკოსთა კადრების აღზრდაში, ბევრი მოწვეული მუსიკოსი შეთავსებით მუშაობდა ჩვენს კონსერვატორიაში და მუსიკალურ სასწავლებლებში.

წლების განმავლობაში სამუელ პოლიანოვი სათავეში ედგა ფილარმონიის საკონცერტო საქმიანობას. იგი დაუღალავად მუშაობდა, რომ ჩვენი საზოგადოებისათვის გაეცნო საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს გამოჩენილი მუსიკოსები, ხელს უწყობდა ჩვენი მომღერლების გასტროლებს სხვადასხვა ქალაქში, აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ორიოვე დეკადის ორგანიზაციაში.

ბოლო წლებში ეს დაუღალავი ადამიანი დიდ მუშაობას ეწევა ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი ადმინისტრატორის თანამდებობაზე. იგი დიდი ენერგიით ზრუნავს, რომ თბილისის თეატრში მაყურებელმა მოუსმინოს ყველა გამოჩენილ მომღერალს, დიდად უწყობს ხელს ჩვენი საოპერო თეატრის და ცალკეული მსახიობების, გასტროლების საზღვარგარეთელი მოწყობის, ეროვნული პროფესიონალ მუსიკოსთა კადრების აღზრდაში, ბევრი მოწვეული მუსიკოსი შეთავსებით მუშაობდა ჩვენს კონსერვატორიაში და მუსიკალურ სასწავლებლებში.



ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ

15 ივნისს მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში დაიწყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები, რომელიც 5 წელია თბილისში არ ჩამოსულა.

ქალაქის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ქუთაისელებს. სტუმრებმა პირველ დღეს უჩვენეს პ. კაკაბაძის „ცხოვრების ჯარა“, რომელიც დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, თეატრის ხელმძღვანელმა ა. ვასაძემ, მხატვრულად გააფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დ. თავაძემ.

სპექტაკლის წინ თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობის სახელით ქუთაისელ სტუმრებს მიესალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. კვანტარაანი.

თეატრის ხელმძღვანელმა ა. ვასაძემ გულთბილი მადლობა გადაუხადა შეკრებილთ.

სპექტაკლში როლები შეასრულეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ვ. მეგრელიშვილმა და შ. პირველმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა გ. კოველაძემ, ქ კოლხიდელმა, კ. აბესაძემ და სხვებმა.

სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი 5 ივლისამდე დარჩება თბილისში და თავის 8 საუკეთესო დადგმას უჩვენებს.

(საქდესი).

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘ“ № 11

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ **„საქართველოს აგიტატორის“** მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: **მ. ყიფიანი** — ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის!; **კ. მაზიაშვილი** — მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა ჩვენი უმთავრესი საზრუნავია; **კ. გურული** — კოლექტივი — საუკეთესო აღმზრდელი; **რ. თარკილი** — ვამრავლოთ მოწინავეთა რეგები; **მ. კაპანაძე** — როგორ ვატარებ საუბარს; **ვ. მალლაკელიძე** — პიროტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება — დიდმნიშვნელოვანი ამოცანა და სხვ.

ᲔᲠᲔᲠᲐ ᲠᲩᲔᲑᲐ „ᲘᲜᲢᲔᲠᲨᲘ“

რეზრეზ მილანის „გაძეტა დე ლა სპორტი“ იუწყება, „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელ ფ. ერერას უკანასკნელ ხანებში ბევრი მოწვევა მოუვიდა იტალიის, ესპანეთისა და საფრანგეთის საკლუბო გუნდებისაგან. ამასთან ერთიანად თვის წინათ „ინტერნაციონალეს“ დროებითი მარცხისას ამ გუნდის პრეზიდენტმა, მილიონერმა მორატიმ მოწვევა გაუგზავნა ცნობილ ბრაზილიელ სპეციალისტს ა. მორენირას. ახლა ეს მოლაპარაკება ჩაიშალა.

„ინტერის“ დირექტორატმა სთხოვა ე. ერერას დარჩენილიყო გუნდში, მაგრამ მწვრთნელმა გადაწყვიტა მხოლოდ ერთი წლით განაახლოს ხელშეკრულება. 1965 66 წლების სეზონის დამთავრების შემდეგ ე. ერერა უფლებას იტოვებს გადავიდეს ნებისმიერ გუნდში.

ერერა მსოფლიოში ყველაზე „ძვირად ღირებული“ მწვრთნელია. მას „ინტერის“ დირექტორატი 80 ათას დოლარს უხდის სეზონში. ამ დღეებში ერერამ მიიღო მწვევა თავის ყოფილ კლუბ „ბარსელონასაგან“, რომელიც თანახმაა მწვრთნელს წლიურად ორჯერ მეტი გადაუხადოს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

□ მაიაკოვსკის რაიონში გასტროლებს მართავს სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი“.

ოსი მსახიობები წარმატებით გამოდიან კოლმეურნე მაყურებლების წინაშე.

□ საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ კორბოულის ზოგიერთ უბანში სასმელი წყალი არ ჭქონდათ და შორი მანძილიდან ეზიდებოდნენ. რაიონული საბჭოს დეპუტატების ვ. დგებუაძისა და ს. კაპანაძის თაოსნობით და მშრომელთა აქტიური მონაწილეობით დაიწყო წყალსადენის მშენებლობა.

ახლახან რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, ტალახაძეებისა და სახვაძეების უბნებში უკვე მიიღეს სასმელი წყალი.

□ ᲪᲐᲙᲚᲘᲡᲐᲜᲘᲚᲘ დრომდე ქუთაისის რკინიგზის კვანძს მოძველებული სისტემის ტელეფონები ჰქონდა. ისინი აბონენტებისათვის მრავალ უხერხულობას ქმნიდნენ. ამას წარიარა მოძველებული ტელეფონების 100-ნომრიანი ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურით შეიცვალა.

ივ. ბუხაიძე.

ᲑᲐᲓᲔᲕᲘᲐ ᲡᲐᲕᲘᲛᲘ „ᲛᲮᲔᲪᲘ“

ტორპედო იაკობ ოცი წლის შემდეგ

ᲔᲡ ᲛᲝᲮᲓᲐ ბალტიის ზღვაში ნაპირთან ახლოს. ლიეპაიას კოლმეურნეობა „ბოლშევიკის“ ხუთი მებადური ზღვაში სათევზოდ გავიდა. ტრალის ერთ-ერთი აწევის დროს იგრძნეს, რომ ბადეს რაღაც საკმაოდ დიდი ტვირთი ფსკერისაკენ ეწევოდა. ხომ არ წააწყდნენ თევზთა გუხდს? მებადურები მოუთმენლად ელოდნენ ბადის მაღლა ამოტანას.

— რამოდენა თევზია! — აღტაცებით წამოიძახა ვიღაცამ. — მაგრამ ცოცხალი არ არის, არ ინძრევა.

ტრალმა მაღლა ამოიტანა რაღაც გრძელი და შავი საგანი, ბოტის თითქმის ნახევარი.

— სდექ! — შესძახა კაპიტანმა იანის რადიომიკროფონს. — ასეთი მკვდარიც კი თვალის დახამხამებაში გეშინიან „შეგვსანსლავს“. ხედავთ ხრახნიან სტაბილიზატორს!

ტალღები არწევდნენ ბადეში მოხვედრილ ტორპედოს. მებადურები არ დაიბნენ. ტორპედო ბუქსირით გაიტანეს კვადრატიდან, სადაც თევზს იჭერდნენ არტელის სხვა მებადურები. კაპიტანმა რადიოთი აცნობა ნაპირს ტორპედოს პოვნის ამბავი. სამხედრო სპეციალისტები კატერით მაშინვე შემოხვევის ადგილზე გაჩნდნენ და კოლმეურნეებს ჩამოართვეს საშიში ზღვის „მხეცი“.

მალე გაშლილ ზღვაში გაისმა ავტომექანის ხმა. ეს სამხედრო სპეციალისტებმა აიყვანეს ტორპედო, რომელიც 20 წლის მანძილზე ეძებერებოდა მეზღვაურთა სიცოცხლეს.

(საკდესის კორ.).

ლიეპაია, ლატვიის სსრ.

ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 15 ივნისი. (საკქდესი). 31ᲬᲛᲔᲢᲔᲠ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲖᲔ ᲩᲐᲕᲘᲓᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲐ ᲐᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲐᲚᲐᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲞᲘᲠᲖᲔ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ (ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜᲘ, Მ. ᲗᲐᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘ ᲓᲐ Ა. ᲚᲣᲗᲘᲐᲜᲝᲕᲘ) ᲣᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ, ᲮᲣᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲘᲓᲝ. ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲝᲒᲝᲜᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲢᲕᲘᲠᲘᲗᲘ ᲤᲡᲙᲔᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲔᲬᲔᲕᲝᲓᲐ. ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲬᲐᲐᲬᲧᲓᲜᲔᲜ ᲗᲔᲕᲖᲗᲐ ᲒᲣᲮᲓᲡ? ᲛᲔᲑᲐᲓᲣᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲮᲚᲔᲚᲐᲓ ᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ ᲑᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲛᲝᲢᲐᲜᲐᲡ.

— რამოდენა თევზია! — აღტაცებით წამოიძახა ვიღაცამ. — მაგრამ ცოცხალი არ არის, არ ინძრევა.

ტრალმა მაღლა ამოიტანა რაღაც გრძელი და შავი საგანი, ბოტის თითქმის ნახევარი.

— სდექ! — შესძახა კაპიტანმა იანის რადიომიკროფონს. — ასეთი მკვდარიც კი თვალის დახამხამებაში გეშინიან „შეგვსანსლავს“. ხედავთ ხრახნიან სტაბილიზატორს!

ტალღები არწევდნენ ბადეში მოხვედრილ ტორპედოს. მებადურები არ დაიბნენ. ტორპედო ბუქსირით გაიტანეს კვადრატიდან, სადაც თევზს იჭერდნენ არტელის სხვა მებადურები. კაპიტანმა რადიოთი აცნობა ნაპირს ტორპედოს პოვნის ამბავი. სამხედრო სპეციალისტები კატერით მაშინვე შემოხვევის ადგილზე გაჩნდნენ და კოლმეურნეებს ჩამოართვეს საშიში ზღვის „მხეცი“.

მალე გაშლილ ზღვაში გაისმა ავტომექანის ხმა. ეს სამხედრო სპეციალისტებმა აიყვანეს ტორპედო, რომელიც 20 წლის მანძილზე ეძებერებოდა მეზღვაურთა სიცოცხლეს.

(საკდესის კორ.).

ᲚᲘᲔᲞᲐᲘᲐ, ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ ᲡᲡᲠ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲥᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

„ᲠᲐᲙᲘᲠᲓᲘ“ — ᲗᲐᲡᲘ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 14 ივნისი. (საკდესი). დიდხანს გასტანა ფინალურმა ბრძოლამ ევროპის ჩემპიონთა თასისათვის ფრენბურთელ ვაჟთა შორის. ორგზის, როგორც დებულებით არის გათვალისწინებული, შეხვდნენ ერთმანეთს ბელჟიერესტის „რაპიდი“ და პერნი-ის (ბულგარეთი) „მინიორი“. მაგრამ მხოლოდ მესამე მატჩმა ნეიტრალურ მოედანზე მოიტანა გამარჯვება რუმინელ სპორტსმენებს. შეხვედრის ანგარიშია 3:2 რუმინელთა სასარგებლოდ.

რუმინეთის ჩემპიონმა „რაპიდმა“ თასი მესამეჯერ მოიპოვა.

ᲓᲐᲕᲐ „ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

ᲰᲐᲛᲑᲣᲠ�გᲘ, 15 ივნისი. (საკდესი). ევროპის მოჭადრაკეთა ჩემპიონატზე უნგრეთისა და იუგოსლავიის გუნდების დავა ვერცხლისათვის ყველას უურადღებას იპყრობს. პირველი ადგილისათვის ბრძოლა უკვე აღარ წარმოებს, რადგან ჯერ კიდევ ტურნირის გახსნამდე მას, არც თუ უსაფუძვლოდ უწინასწარმეტყველებდნენ მსოფლიოში უძლიერეს საბჭოთა გუნდს. ისე მოხდა, რომ ოქროს მედლების ბედი ამჟამად უკვე ნათელია. რუმინელებთან გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ანგარიში გახდა 6.5:3.5 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. იგი მერვე ტურშიც წინ არის იუგოსლავ მოჭადრაკეებთან შეხვედრაში. ანგარიშია 3.5:1.5. ᲒᲐᲢᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲐᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲯᲕᲔ Გ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘᲡ, Ი. ᲐᲕᲔᲠᲑᲐᲮᲘᲡᲐ — Მ. ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲜᲘᲡ.

ᲐᲣᲢᲡᲐᲘᲓᲔᲠᲘ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲡ

ᲙᲘᲝᲕᲘᲜᲘᲝᲗᲘᲡ „მოლდოვას“ კარგად იცნობენ ფეხბურთის მოყვარულები. იგი არაერთხელ იბრძოდა უმაღლეს ლიგაში ოქროს მედლებისათვის, მაგრამ გასულ საფეხბურთო სეზონში იძულებული გახდა „ა“ კლასის პირველ ჯგუფი დაეტოვებინა. ახლა კიშინიოველები გამეფდნენ მეორე ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში და ლიდერთა სამეულში იმყოფებიან.

ამავე ქვეჯგუფში გამოდიან თბილისის ლოკომოტიველები, რომელთა სატურნირო მაჩვენებლები ჯერჯერობით არასახარბიელოა. მიუხედავად ამისა გუშინდელმა მატჩმა „ბურევესტნიკის“ სტადიონზე „მოლდოვასა“ და „ლოკომოტივის“ გუნდებს შორის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ბრძოლა შეუპოვარი გამოდგა. ორივე გუნდი იბრძოდა მოხდომებით, კოლექტიურად. ტემპი ანად. იყო შემთხვევები, როდესაც მოწინააღმდეგეთა კარის აღება გარდუვალი იყო, მაგრამ პირველ ტაიმში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ.

მეორე ნახევარში ორმხრივი იერიშები არ დამცხალა. 79-ე წუთზე ლოკომოტიველთა ერთ-ერთი იერიშის დროს „მოლდოვასა“ მეკარე **ვიბერმა** მოწინააღმდეგე ხელით დაიჭირა. მსაჯმა **ვ. კოვაჩენკომ** სავსებით სამართლიანად 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა დანიშნა.

ეს შესაძლებლობა კარგად გამოიყენა **მუმლაძემ** და ანგარიში გახსნა. დარჩენილ წუთებს ანგარიში არ შეუცვლია, გამარჯვეს ლოკომოტიველებმა 1:0.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

□ მაიაკოვსკის რაიონში გასტროლებს მართავს სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმდი“.

ოსი მსახიობები წარმატებით გამოდიან კოლმეურნე მაყურებლების წინაშე.

□ საჩხერე. (საკ. კორ.). სოფელ კორბოულის ზოგიერთ უბანში სასმელი წყალი არ ჭქონდათ და შორი მანძილიდან ეზიდებოდნენ. რაიონული საბჭოს დეპუტატების ვ. დგებუაძისა და ს. კაპანაძის თაოსნობით და მშრომელთა აქტიური მონაწილეობით დაიწყო წყალსადენის მშენებლობა.

ახლახან რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, ტალახაძეებისა და სახვაძეების უბნებში უკვე მიიღეს სასმელი წყალი.

□ ᲪᲐᲙᲚᲘᲡᲐᲜᲘᲚᲘ დრომდე ქუთაისის რკინიგზის კვანძს მოძველებული სისტემის ტელეფონები ჰქონდა. ისინი აბონენტებისათვის მრავალ უხერხულობას ქმნიდნენ. ამას წარიარა მოძველებული ტელეფონების 100-ნომრიანი ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურით შეიცვალა.

ივ. ბუხაიძე.

ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

△ დონის როსტოვში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში. მორიგი მატჩი გაიმართა რსფსრ ნაკრებსა და საფრანგეთის საკლუბო გუნდ „სტად ფრანსეს“ შორის. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 3:1. ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან დონის როსტოვის სკა-სა და რსფსრ ნაკრები გუნდები.

△ მოსკოვში გრძელდება ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშება შაშში. პირველ ნახევრფინალურ ჯგუფში დასკვნითს ასპარეზობაში მონაწილეობის რეალური შანსები აქვთ ლენინგრადისა და მოსკოვის გუნდებს. საქართველოს გუნდი გამოდის მესამე ჯგუფში. აქ ლიდერობას ინარჩუნებს რსფსრ გუნდი.

△ საბჭოთა კავშირს ეწვია საფრანგეთის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ტულუზა“. პირველი საერთაშორისო მატჩი ტბილისში ჭკნდათ ლვოვში ადგილობრივ „კარპატთან“. ორივე ტაიმი ისე ამოიწურა, რომ მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ-კიხოტი (მე-2 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — აკვარიუმი (მე-13 და გაცდენილი აბონემენტები), **მარჯანიშვილის სახელობის** (ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლები) — რიჩარდ მესამე (საღ. 8 ს.), **გრიბოედოვის სახელობის** — 104 გვერდი სიყვარულზე (1-ლი აბონ. მე-9 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ცირკის პრინცესა, **ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** „ატელიეს“ (პარიზი) გასტროლები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „ათი ათასი ბიჭი“, 19.20 — „ჩვენი საბჭოეთიზეთ ადგილ“, 20.10 — ტელენარკვევი „ერთი ამპულის ისტორია“, 20.20 — განცხადებები, 20.25 — კინონარკვევი, 20.45 — სატელევიზიო დათვალიერება „ჩვენი ქალაქის თვითმოქმედება“, 21.20 — მხატვრული ფილმი „ლანდაგებს შორის“, 22.35 — კვირის ამბები რუსულ ენაზე.

ᲠᲐᲓᲘᲝ

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.15 — ახალგაზრდობის სიმღერები, 10.15 — ს. შანჩიაშვილის ლექსები, 10.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.15 — ნაწყვეტები ბ. მუსორგსკის ოპერებიდან, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ლაპარაკობს აეროპორტი ახალგაზრდობა“, 12.25 — ტ. ბაქრაძის სიმფონია, 13.10 — ჯონსი. ფანტაზია ოპერეტა „გეიშას“ თემებზე, 13.40 — პოლონური სიმღერები, 14.00 — გადაცემა — „ა. ხაჩატურიანის მოწაფეები“ (მოსკოვი), 15.15 — ფრაგმენტები ოპერებიდან (მოსკოვი), 17.15 — ქართული საფორტეპიანო პიესები, 17.35 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 18.10 — ო. თაქთაეშვილის კონცერტინო ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 18.45 — მუსიკური მესერი, 19.30 — გადაცემა ციკლიდან — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი მოქმედებაში“ — საუბარი — „განვამტკიცოთ საკოლმეურნეო ტექნიკის სარემონტო ბაზა“, 19.45 — თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის ვოკალური ჯგუფის კონცერტი, 20.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი“, 21.00 — „ძილისშარული“, 21.15 — კონცერტი-საუბარი: „სხვადასხვა მომღინარეობანი საზღვარგარეთულ მუსიკაში“, 22.00 — გ. შატბერაშვილის მოთხრობა „შამალხინეს სიკვდილი“, 23.30 — „უკრავს სვიატოსლავ რიხტერი“.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“
ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ,
Ქ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ
ᲞᲠᲝᲡᲞ. № 2.
ᲢᲔᲚᲔ. 5-21-62

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ
ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ
ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲛᲮᲜᲐᲑᲐᲖᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ
ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ — ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ (ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲜᲘ)
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 20 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲛᲝ ᲒᲐᲜᲘᲠᲘᲡ: **ᲠᲔᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲯᲘᲜᲯᲘᲫᲔ, ᲘᲚᲘᲐᲓᲝ, ᲑᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲛᲐᲩᲣᲠᲐᲫᲔ** — თბილისის „დინამო“, **ᲚᲔᲤᲯᲐᲕᲐ, ᲮᲔᲠᲮᲐᲫᲔ** — ქუთაისის „ტორპედო“, **ᲨᲢᲐᲜᲘᲐ** — მოსკოვის „დინამო“, **ᲚᲔᲜᲘᲜᲘ** — მოსკოვის „ტორპედო“, **ᲞᲘᲚᲘᲞᲩᲣ